

სკოლამდელი პროფესიული განათლების დანერგვა და გამოწვევები

ქობულაძე ნატო – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

The Introduction and Challenges of Preschool Vocational Education

Kobuladze Nato – Associate Professor, Department of Pedagogics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: A quality preschool education is a priority in the world's educational system, which is based on the standard of preschool education, a number of legislative regulations and educational programs. Investment in preschool education is what may become the key to the great success in the future. The State has realized the importance of education for the development of society, and has declared that concern for education begins from an early preschool age. It could be said that preschool education in Georgia goes beyond the preparation of the child for school, and it is aimed at exerting such influence on his personality, which would develop the child's skills required for making him a full-fledged member of society. Since 2015, in cooperation with the United Nations Children's Fund, Law of Georgia on Early and Preschool Education has been prepared, which provides accessibility to the early education system based on the principle of high-quality, transparent and inclusive accountabilities consistent with international standards, for all children.

Research methodology: Observation, comparison, analysis, synthesis, induction, deduction, experiment.

Results and implications: In 2016, Akaki Tsereteli State University has started to implement the accredited modular vocational program "Nursery Teacher", which involves 20 students benefited from the State Grant program and 1 student with impaired functionality. Demand for the mentioned specialty was so high that a sufficiently competitive environment has been created, and students with 89 scores and above, have been admitted to this program.

Conclusion: While implementing this program, the action plan and other documentation have been developed for the internal and external monitoring groups. Based on the results of the analysis of the work of monitoring groups, we have been able to identify the range of problems related to the introduction processes and to find the ways to address them.

Keywords: modular vocational program, implementing, introduction processes

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება პრიორიტეტია მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაში, რაც ეფუძნება სკოლამდელი განათლების სტანდატს, მთელ რიგ საკანონმდებლო რეგულაციებს და საგანმანათლებლო პროგრამებს. სწორედ, სკოლამდელ განათლებაში ჩადებული ინვესტიცია მომავალში დიდი წარმატების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

სახელწიფომ გააცნობიერა განათლების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის და აცხადებს, რომ განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული

,სკოლამდელი ასაკიდან. შეიძლება ითქვას,რომ საქართველოში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისათვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნულობაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას,რაც ბავშვს საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს.

საქართველოში 2015 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით მომზადდა "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი“ , რომელიც ყველა ბავშვისათვის მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, გამჭვირვალე, ინკლუზიური, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული ადრეული აღზრდისა და განათლების სისტემის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

აქამდე არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფეროს. არსებობდა მხოლოდ ჩანაწერი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში , რომლის თანახმად, “მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა” მუნიციპალიტეტის ფუნქციაა. შესაბამისად სკოლამდელი განათლება ვერ უზრუნველყოფდა სტანდარტით დადგენილ წესებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქვეყანაში ბოლო ათწლეულის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის არქონის გამო ვერ მზადდებოდა პროფესიული კადრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ , გამომდინარე იქედან, რომ სკოლამდელი განათლება ზოგადი განათლების წინმსწრები ეტაპია, რომელიც დიდად განსაზღვრავს მომავალში ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას. სკოლამდელი განათლების მხარდასაჭერად შეიქმნა მეთოდური სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა და სპეციალისტთა დასახმარებლად.

აღნიშნულმა გამოწვევებმა შექმნა საჭიროება , რომ შექმნილიყო სკოლამდელი პროფესიული პროგრამები , რომლებიც მოამზადებს პროფესიონალ აღმზრდელ-პედაგოგებს, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ხარისხიან სკოლამდელ განათლებას.

2016 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო აკრედიტირებული მოდულური პროფესიული პროგრამის-„ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის“ განხორციელება, სადაც სწავლობს 21 სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტი, მათ შორის - 1 შშმ სტუდენტი.

მოთხოვნა აღნიშნულ სპეციალობაზე იმდენად დიდი იყო, რომ საკმაოდ კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნა. სტუდენტები ჩაირიცხნენ 89 ქულიდან და ზემოთ.

პროგრამის განხორციელების პროცესში შემუშავდა შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე (საქართველოს ეროვნული ხარისხის განვითარების ცენტრი) მონიტორინგის ჯგუფების სამუშაო გეგმა და სხვა დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფების მუშაობის შედეგების ანალიზის გავალისწინებით მოგვეცა შესაძლებლობა გამოგვევლინა დანერგვის პროცესების პრობლემატიკა და მოგვეძიებინა გადაჭრის გზები.

მოდულური პროფესიული პროგრამები შედგება ძირითადი სავალდებულო, ზოგადი სავალდებულო და არჩევითი პროგრამებისაგან. მათ შორის არის გაცნობითი და 12 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკა. პროგრამა-„ ბაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგი“ სულ 132 კრედიტისგან შედგება და სწავლების ხანგრძლივობაა-2 წელი და 3 თვე.

მოდულურ პროგრამაზე მონიტორინგის ჯგუფების სისტემატიური დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძლიერი მხარეები:

- ✓ პროგრამა უზრუნველყოფილია სპეციალურად მომზადებული ადამიანური (ადმინისტრაციული, აკადემიური) და მატერიალური რესურსებით
- ✓ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია მოდულური პროგრამების დანერგვის მიზნებისა და პროცედურების შესახებ
- ✓ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ჯგუფის კოორდინატორი, გაწერილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა და მოდულებზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გრაფიკი
- ✓ დამტკიცებულია დასწრების ოქმის ფორმა, კალენდარული გეგმის ფორმა, შეფასების ინსტრუმენტების ფორმები, უწყისის ფორმა
- ✓ განსაზღვრულია პროგრამის დანერგვის პროცესის შიდა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირები
- ✓ გეგმის შესაბამისად დაწესებულებაში ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი
- ✓ დაწესებულებაში ხორციელდება მოდულების განმახორციელებელ პირებთან/პროფესიულ მასწავლებლებთან ეფექტური კომუნიკაცია, კონსულტაციები, შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით (შემდეგი მოდულების განხორციელებისათვის მზადება, რაც გამოიხატება კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-დახვეწაში)
- ✓ ელექტრონული დეკანატის განხორციელება დაკვირვებისა და ანალიზის პროცესში გამოვლინდა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გამოწვევები მოდულური პროგრამების დანერგვისთან დაკავშირებით:
- ✓ განმახორციელებელ პერსონალს საწყის ეტაპზე გაურთულდა კალენდარული გეგმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამადასტურებელი მტკიცებულებების შემუშავება.
- ✓ ზოგიერთ სავალდებულო მოდილში დაფიქსირდა რიგი საკითხების თანხვედრა
- ✓ დიდი დრო და ენერჯია დაჭირდა მოდულების მიხედვით სალექციო კურსების შემუშავებას (ლიტერატურის მოძიება, თარგმნა, შევსება, ელექტრონულ ფორმატში გადატანა ...)
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები დანერგვის პროცესის დაწყებიდან პერიოდულად იღებენ კონსულტირებას ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის მხრიდან, მაინც გარკვეულ პრობლემებს აქვს ადგილი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას.

- ✓ მოდულის სწავლების პირველ ეტაპზე გაძნელდა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, სწავლების მომდევნო ეტაპზე შეფასების ინსტრუმენტები შემუშავდა უფრო ეფექტურად, ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით
- ✓ რიგი პრობლემები შეიქნა პროგრამის განხორციელების მენეჯმენტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის მიმართულებით (მტკიცებულებების შეგროვება, ელ-ფორმატში გადატანა, გადატანა, შენახვა, საკანცელარიო მასალებით უზრუნველყოფის ტექნიკური პრობლემები, მრავლრიცხოვანი დოკუმენტაციის წარმოება-გაფორმება...)
- ✓ სტუდენტთა დასწრება

შიდა მხარდეჭერის ჯგუფის მიერ დანერგვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მოდულის განხორციელების პროცესში გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობა, კონსულტაციებში და მიზნობრივ ტრენინგებში.
2. მნიშვნელოვანის ანალოგიური პროგრამების (სხვა უნივერსიტეტები, კოლეჯები) ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარებისა და სტუდენტთა გაცვლითი პრაქტიკის დანერგვის მიზნით
3. სასურველია ყველა მოდულისათვის შემუშავდეს მასწავლებლის გზამკვლევები რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მოდულური პროგრამების ეფექტურ დანერგვას და სალექციო კურსების შემუშავებას
4. სანდო და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოცდილ პროფესიონალებთან აქტიური კომუნიკაცია, თანამშრომლობა და მოტივაციის ამაღლება
5. აღსანიშნავია:

ა. გაიზარდოს კრედიტები მოდულში- „რაოდენობრივი წიგნიერება“- ასევე, გასათვალისწინებელია ზოგიერთი სტუდენტთა დაბალი მზაობა, რის შედეგადაც საკითხების სირთულე არათავსებადია, რაც ართულებს სასურველი შედეგის მიღწევას.

ბ. სასურველია ამ მოდულში ნაკლები იყოს ფუნდამენტური მათემატიკური საკითხები და მეტი ადგილი დაეთმოს მათემატიკის ზოგადი უნარ-ჩვევების განმავითარებელ შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ სავარჯიშოთა სისტემას.

გ. სასურველია მოდულში მეტი რაოდენობით იქნას შეტანილი სახალისო და გამოყენებითი ხასიათის მათემატიკური საკითხები.

დ. მოდულში-, ადრეული განვითარების თავისებურებები“ -პირველი შედეგის თემატიკაში აუცილებელია შეტანილი იქნას განვითარების ფსიქოლოგიის მიმართულების საკითხები

6. გაიზარდოს ფაკულტეტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა და ჩართულობა მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვა-განხორციელებაში
7. მნიშვნელოვანია უცხო ენის სწავლებისას ასევე გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა განსხვავებული მზაობა

პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ პროფესიული სწავლება მიმდინარეობს დინამიურად. არ გამოვლენილა განსაკუთრებული დარღვევა. პრობლემატურია დასაქმებულ სტუდენტთა დასწრება, რაც ხელისშემშლელია წინაპირობაა ზოგიერთი შედეგის დაადასტურებისათვის.

მეცადინეობები მიმდინარეობს შესაბამის გარემოში, ყოველი მოდულის მასწავლებელს შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია კონკრეტულ მეცადინეობასთან, შედგენილი აქვს კალენდარული გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი მოდულის თემატიკა, თეორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების თარიღები, ასევე სწავლის შედეგების დადასტურების თარიღები, სასწავლო მასალა და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები. პროფესიული მასწავლებელი მეცადინეობის დროს იყენებს რაციონალურად და ეფექტურად, რაც აღინიშნა გარე მხარდამჭერი ჯგუფის ვიზიტებისას. მეცადინეობა მიმდინარეობს ელექტრონული და ციფრული ტექნიკის გამოყენებით ინტეგრირებულად (თეორიული და პრაქტიკული ნაწილი). შედეგებიდან გამოვლინდა, რომ პროფესიული პროგრამის მასწავლებლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასწავლო პროცესს, რაც დასტუდება ინტერქციით, საინტერესო და ეფექტიანი საწავლო პროცესის განხორციელებით, სტუდენტთა მიერ მოდულური პროგრამების მოთხოვნით შექმნილი მტკიცებულებებისა და ელექტრონული მასალების გამოყენებით, მასალებისა და შედეგების ელექტრონულ პორტალზე ატვირთვით. აღნიშნული მოდულური პროფესიული პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს სავალდებულო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც აკმაყოფილებს ადრეული და სკოლამდელი განათლების პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე სასურველია აღნიშნული პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულები მაქსიმალურად იყვნენ დასაქმებულნი სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში, რაც საშუალებას მოგვცემს დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეფასდეს მიღებული შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo

<http://www.nplg.gov.ge>

<http://elibrary.emis.ge/ge/books/details/82>

<http://preschooleducation.ge/>